სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

21 ნოემბერი, 2025 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/150

„ბსუ-ს „სპეციალური მასწავლებლის მომზადების“ სერტიფიკატის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 02 ივნისის №06-01/49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 47[8] მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის მე-4 პუნქტის, ,,მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ” საქართველოს კანონის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს №1-1/345 ბრძანების, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 01 ივლისის №113/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პირის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 26 ოქტომბრის №142/ნ ბრძანებით (ცვლილება 2.05.2024წ. N90/ნ ბრძანებით) დამტკიცებული „მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის/სპეციალური მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის გაცემის წესის“, „ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის „სპეციალური მასწავლებლის მომზადების“ 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 17 ნოემბრის №06-01/133 დადგენილების, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაგზავნილი ბსუ-ს წერილების (N913284, 25/07/2025 წ; და N1036326, 27/08/2025 წ. - სერტიფიკატის ფორმის ენობრივი სისწორის შეთანხმების თაობაზე), სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრიდან ბსუ-ში მიღებული წერილის (N1061733, 03/09/2025 წ. - ბსუ-დან გაგზავნილი სპეციალური მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის ფორმის პროექტის ქართული და ინგლისური ტექსტების ენობრივად გამართულობის თაობაზე), დიპლომების გაცემისა და რეესტრის სამსახურის კოორდინატორის სამსახურებრივი ბარათის (MES 1 25 0001384625, 21.10.2025) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. „ბსუ-ს „სპეციალური მასწავლებლის მომზადების“ სერტიფიკატის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 02 ივნისის №06-01/49 დადგენილებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, დადგენილებით დამტკიცებული სერტიფიკატის ფორმა ჩამოყალიბდეს **წინამდებარე დადგენილების N1 დანართის** შესაბამისად.

2. ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტმა და ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა (დიპლომების გაცემისა და რეესტრის სამსახურმა) ერთობლივად, ბსუ-ს ხარისხის სამსახურთან კოორდინაციით, უზრუნველყონ წინამდებარე დადგენილებით დამტკიცებული სერტიფიკატის ფორმის სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (ენობრივი სისწორის შემოწმებისათვის) წარდგენის ორგანიზება, ხოლო შეთანხმებული სერტიფიკატის ფორმა შემდეგში რეგისტრაციისათვის წარედგინოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (,,სემგს“) სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიული პირს – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს.

3. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

4. დადგენილება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტს (დეკანს, დეკანის ოფისს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელს), საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).

5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ტიტე არუშიძე**

1.მთელი ზედაპირი დაფარული უნდა იყოს დამცავი (გილოშერული) ბადით,
ბადეების სამი სახის ერთდროული გამოყენებით

2.ულტრაიისფერი სხივების ქვეშ დიპლომის სახიან მხარეზე დასმული ნიშანი (ლოგო/გერბი),
სერტიფიკატის სერიისა და ინდივიდუალური ნომრის გამოსახულება უნდა გამოსცემდეს ლუმინესცენციას.

2

2

საქართველო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

GEORGIA
Legal Entity of Public Law
Batumi Shota Rustaveli State University

სპეციალური მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი
SPECIAL TEACHER TRAINING CERTIFICATE

1

1

BSU № 000000

2

_____ ფაკულტეტის საბჭოს _____ წლის ___ _____ № _____ გადაწყვეტილებით
_____ დაასრულა სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო
პროგრამა (60 კრედიტი) _____

By decision № _____of the _____ Faculty Council
_____ completed Special Teacher Training Educational Pogram (60 ECTS)
_____

ბ. ა.
Seal

დეკანი
Dean

რექტორი
Rector

ბათუმი
Batumi

_____ _____ _____
რიცხვი/day თვე/month წელი/year

სარეგისტრაციო
Registration № _____

დამამზადებელი:

დამკვეთი: საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სემგს-ს რეგისტრაციის №